სასტუმროს საშუალო ფასები საქართველოში და სასტუმროს ფასების ინდექსი

ნოემბერი 2018

- 2018 წლის ნოემბერში, 2017 წლის ნოემბერთან შედარებით, სასტუმროების ფასების ინდექსი 0.1%-ით შემცირდა;
- 2018 წლის ნოემბერში, 2017 წლის ნოემბერთან შედარებით, სასტუმროს ფასები ყველაზე მეტად გურიაში (-14.7%) და კახეთში (-13.6%) შემცირდა;
- 2018 წლის ნოემბერში, 2017 წლის ნოემბერთან შედარებით, თბილისში სასტუმროს ფასები 8.9%-ით შემცირდა;
- 2018 წლის ნოემბერში 3* სასტუმროს საშუალო ფასმა 120 ლარი შეადგინა, 4* - 221 ლარი, 5* - 489 ლარი, ხოლო საოჯახო ტიპის - 63 ლარი;
- 2018 წლის ნოემბერში, ოქტომბერთან შედარებით, სასტუმროების ფასების ინდექსი 11.2%-ით შემცირდა.

სასტუმროების საშუალო ფასები

2018 წლის ნოემბერში, საქართველოში 3-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა[1] **120 ლარი** შეადგინა. 3-ვარსკვლავიან სასტუმროთა შორის ყველაზე მაღალი საშუალო ფასი რეგიონებს შორის სამეგრელო-ზემო სვანეთში - 163 ლარი დაფიქსირდა.

4-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა ნოემბერში **221 ლარი** შეადგინა. 4-ვარსკვლავიან სასტუმროთა შორის, ყველაზე მაღალი საშუალო ფასი კახეთში - 277 ლარი დაფიქსირდა.



გრაფიკი 1: მოცემულია 3, 4 ვარსკვლავიანი და საოჯახო ტიპის სასტუმროებში სტანდარტული 2 ადგილიანი ნომრის საშუალო ფასები რეგიონების მიხედვით. 5-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასები იხილეთ ტექსტში.

5-ვარსკვლავიან სასტუმროთა საშუალო ფასმა ნოემბერში **489 ლარი** შეადგინა. თბილისში, ამ ტიპის სასტუმროებში, სტანდარტული 2-ადგილიანი ნომრის საშუალო ფასმა 608 ლარი შეადგინა, აჭარაში - 474 ლარი, კახეთში - 368 ლარი, ხოლო სამცხე-ჯავახეთში - 365 ლარი.

საოჯახო ტიპის სასტუმროების[2] საშუალო ფასმა ნოემბერში **63 ლარი** შეადგინა. ყველაზე მაღალი ფასი საოჯახო ტიპის სასტუმროებში გურიაში - 110 ლარი დაფიქსირდა.

სასტუმროს ფასების ინდექსი

საქართველოში სასტუმროების ფასების ინდექსი[3] 2018 წლის ნოემბერში, 2018 წლის ოქტომბრის თვესთან შედარებით, 11.2%-ით შემცირდა. სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების ფასები ყველაზე მეტად თბილისში (-13.1%), კახეთში (-12.5%) და შიდა ქართლში (-12.5%) შემცირდა.

საქართველოს ათ რეგიონს და თბილისს შორის, 2018 წლის ნოემბერში, ოქტომბრის თვესთან შედარებით, სასტუმროს ფასები არც ერთ რეგიონში არ გაზრდილა.

საქართველოში 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 2018 წლის ნოემბერში, 2018 წლის ოქტომბრის თვესთან შედარებით, 11.7%-ით შემცირდა. ამ ტიპის სასტუმროებში ფასები ყველაზე მეტად თბილისში და ქვემო ქართლში შემცირდა. 2018 წლის ნოემბერში, 2018 წლის ოქტომბრის თვესთან შედარებით, 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ზრდა არც ერთ რეგიონში არ დაფიქსირდა.

საქართველოში საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 2018 წლის ნოემბერში, 2018 წლის ოქტომბრის თვესთან შედარებით, 7.1%-ით შემცირდა. რეგიონების მიხედვით, ფასები ყველაზე მეტად კახეთში და შიდა ქართლში შემცირდა. საოჯახო ტიპის სასტუმროებში, ნოემბერში, ოქტომბერთან შედარებით, ფასები არც ერთ რეგიონში არ გაზრდილა. თბილისში კი აღნიშნული ტიპის სასტუმროების ფასების კლებამ 4.4% შეადგინა.

საქართველოში სასტუმროების ფასების ინდექსი[3] 2018 წლის ნოემბერში, 2017 წლის ნოემბერთან შედარებით, 0.1%-ით შემცირდა. მოცემულ პერიოდში, სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების ფასები ყველაზე მეტად გურიაში (-14.7%) და კახეთში (-13.6%) შემცირდა. თბილისში სასტუმროების ფასების კლებამ 8.9% შეადგინა.

2018 წლის ნოემბერში, 2017 წლის ნოემბერთან შედარებით სასტუმროების ფასები მხოლოდ სამ რეგიონში გაიზარდა, აჭარაში, მცხეთა-მთიანეთში და სამცხე-ჯავახეთში. მათ შორის აჭარაში ყველაზე მეტად-21.8%-ით.

რეგიონი	სასტუმრო		3*, 4*, 5*		საოჯახო	
	2018 ნოემ/ 2018 ოქტ	2018 ნოემ/ 2017 ნოემ	2018 ნოემ/ 2018 ოქტ	2018 ნოემ/ 2017 ნოემ	2018 ნოემ/ 2018 ოქტ	2018 ნოემ/ 2017 ნოემ
თბილისი	-13.1%	-8.9%	-15.6%	-10.8%	-4.4%	-2.2%
კახეთი	-12.5%	-13.6%	-6.7%	2.5%	-13.9%	-17.6%
შიდა ქართლი	-12.5%	-4.9%			-12.5%	-4.9%
სამცხე-ჯავახეთი	-9.3%	5.4%	-6.2%	20.6%	-11.5%	-2.8%
ქვემო ქართლი	-9.2%	-7.1%	-10.8%	-3.8%	-7.2%	-13.4%
აჭარა	-9.1%	21.8%	-8.3%	40.1%	-10.5%	-7.0%
იმერეთი	-8.4%	-6.8%	-8.0%	-6.8%	-8.6%	-6.9%
გურია	-7.7%	-14.7%	-5.9%	-22.1%	-9.6%	-8.3%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	-4.3%	-2.4%	-5.2%	1.2%	-4.1%	-4.1%
მცხეთა-მთიანეთი	-3.2%	7.6%	-2.6%	0.3%	-3.7%	14.0%
რაჭა	-2.7%	3.9%			-2.7%	3.9%
სულ ფასების % ცვლილება	-11.2%	-0.1%	-11.7%	4.7%	-7.1%	-3.7%

ცხრილი 1: ფასების % ცვლილება 2018 წლის ნოემბერში 2018 წლის ოქტომბრის ფასებთან შედარებით და 2017 წლის ნოემბრის ფასებთან შედარებით,

საქართველოში 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 2018 წლის ნოემბერში, 2017 წლის ნოემბერთან შედარებით, 4.7%-ით გაიზარდა. ამ ტიპის სასტუმროებში ფასები ყველაზე მეტად აჭარაში (40.1%) და სამცხე-ჯავახეთში (20.6%) გაიზარდა. თბილისში, 2018 წლის ნოემბერში, 2017 წლის ნოემბერთან შედარებით, 3, 4 და 5* სასტუმროების ფასები 10.8%-ით შემცირდა.

საქართველოში საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 2018 წლის ნოემბერში, 2017 წლის ნოემბერთან შედარებით, 3.7%-ით შემცირდა. რეგიონების მიხედვით, ფასები ყველაზე მეტად კახეთში (-17.6%) და ქვემო ქართლში (-13.4%) შემცირდა. მოცემულ პერიოდში, თბილისში, საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასების კლებამ 2.2% შეადგინა.

ძირითადი ეკონომიკური ინდიკატორები

	IV 2016	2016	I 2017	II 2017	III 2017	IV 2017	2017	I 2018	II 2018	III 2018
1	493.4	1978.3	458.7*	549*	647.7*	579.9*	2235.4*	534.8*	650.2*	
2	1473.8	6720	1378.1	1757	2969.9	1797.5	7902.5	1582.4	1979.6	3226.4
3	559.6	3297.3	665	908.9	1629.9	865.7	4069.4	839.5	1094.2	1838.3
4	481.2	2166.3	434.6	658.8	1081.1	576.8	2751.3	550.8*	810*	
5	92.4	386.3	81.4	109.5	152	120.7	463.6	105.9*	126.4*	
6	34.7	56.1	7.1	25.1	29.7	14.4	76.2	23.8*	7.6*	36*

1 ტურიზმის სფეროებში შექმნილი დამატებითი ღირებულება (მლნ. ლარი)

2 საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობა (ათასი კაცი)

3 ტურისტების რაოდენობა (24 საათი და მეტი, ათასი კაცი)

4 შემოსავლები საერთაშორისო ტურიზმიდან (მლნ. აშშ დოლარი)

5 საქართველოს მოქალაქეების ტურისტული დანახარჯები საზღვარგარეთ (მლნ. აშშ დოლარი)

6 პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სასტუმროების და რესტორნების სექტორში (მლნ. აშშ დოლარი)

1 შედეგები მიღებულია საქართველოს 10 რეგიონში და თბილისში 3, 4, 5 ვარსკვლავიანი და საოჯახო ტიპის სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების ფასებზე დაკვირვების შედეგად. სასტუმროების შერჩევა მოხდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. ანალიზი მოიცავს booking.com-ზე დარეგისტრირებულ, საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებულ 3, 4, 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების 71%-ს (312 ობიექტი) და საოჯახო ტიპის სასტუმროების 25%-ს (456 ობიექტი). 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასებზე მონაცემების მიღება ხდება სასტუმროებთან დაკავშირების საფუძველზე, ხოლო საოჯახო სასტუმროების ფასებზე ინფორმაციის წყარო booking.com-ია. საშუალო ფასები გამოითვლება სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების დღიური განაკვეთების საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით.

2 საოჯახო ტიპის სასტუმრო - სასტუმრო, რომლისთვისაც დამახასიათებელია ნომრების მცირე რაოდენობა და სადაც სტუმრებს მომსახურებას უწევს ოჯახი.

3.სასტუმროების ფასების ინდექსის გაანგარიშება მოხდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების მიხედვით. უმცირესი ერთობლიობის ინდექსი გამოთვლილია Jevons-ის ინდექსით. (Consumer Price Index Manual-Theory and Practice(2004), Practical Guide to Producing Consumer Price Indices (2009).

4 * წინასწარი მონაცემები